

ბრწყინვალე მატჩი

“დინამო” (თბილისი) – ცდსა (მოსკოვი) – 2:0 (2:0).

თბილისის ლ. პ. ბერიას სახელობის “დინამოს” სტადიონი. 1 ივნისი.

მსაჯი: ვ. ფრიდმანი (ლენინგრადი).

გასული პარასკევის მატჩში თბილისის “დინამომ” შესანიშნავი გამარჯვება მოიპოვა. მან დაამარცხა ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი – საბჭოთა არმიის ცენტრალური სახლის გუნდი.

ამ შეხვედრას უაღრესად პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა. ჯერ ერთი, მას უნდა გადაეწყვიტა პირველი ადგილის საკითხი პირველ წრეში; მეორე – თბილისის “დინამოს”, ბოლოს და ბოლოს, უნდა გაექარწყლებინა თავისი მეტოქისადმი ის გაუმართლებელი ფსიქოლოგიური განწყობა, რომელიც მას ომისშემდგომ წლებში დასჩემდა (რის შედეგად 12 მატჩიდან მხოლოდ 1 მოიგო და... 8 წააგო), მესამე – გუნდს უნდა დაემტკიცებინა, რომ იგი უძლიერესთა ლიდერია ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

თბილისელთა ეს თვალსაჩინო მიღწევა განსაკუთრებით იმით არის სასიხარულო, რომ იგი მოხვეჭილ იქნა თანასწორთა ბრძოლაში; არმიელებმა თავისი ტექნიკური და ტაქტიკური არსენალის მთელი მარაგი გამოიყენეს, მაგრამ დინამოელებმა, ასევე მაღალტექნიკური და ტაქტიკური თამაშით, და, რაც მთავარია, გამარჯვებისადმი ურყევი რწმენით, უპირატესობა მოიპოვეს.

თამაში ორივე გუნდმა მეტად სწრაფი ტემპით ჩაატარა, რაც უშუალო შედეგი იყო ერთმეხებიანი, საზრიანი კომბინაციების უხვად გათამაშებისა.

მოედანზე შეუპოვრად იბრძოდა ორი შესანიშნავი, მტკიცედ შეკრული კოლექტივი. ამ დღეს 22 ფეხბურთელიდან ვერ ნახავდით სუსტ მოთამაშეს, ყველა თავგამოდებით, მთელი დაძაბულობით და ენერგიით ისწრაფოდა ამ ასპარეზობის სასურველი ფინალისაკენ.

და თუ ფინალი თბილისელთა სასარგებლო გამოდგა, ეს სავსებით სამართლიანია, რადგან ამ დღეს თბილისის “დინამოს” ყოველმა მოთამაშემ, ყოველმა რგოლმა თავიანთ მეტოქეებზე ძლიერად ჩაატარა ეს საპასუხისმგებლო მატჩი და არმიელებს თავს მოახვია თამაშის საკუთარი სტილი.

მატჩის ბედი გადაწყვიტა მოედნის შუაგულმა. ის, ვინც თავის კონტროლის ქვეშ მოაქცევდა ამ სექტორს, საერთო უპირატესობასაც მოიპოვებდა; ეს კი უნდა გადაწყვეტილიყო შუამარბებისა და ნახევარმცველების უკიდურესად ზუსტი და შეთანხმებული ურთიერთმოქმედებით.

ორივე გუნდი პირველი წუთებიდანვე შეუდგა ამ მთავარი ამოცანის შესრულებას. “დინამოს” წყვილებმა (პანიუკოვი–ანთაძე და გავნიძე–ლოლობერიძე) სწორად გაიგეს და გადაჭრეს ეს საკითხი. მეტად მახვილგონიერად ითამაშა ანთაძემ, რომელმაც არმიელთა გუნდის შეტევების ორგანიზატორი ნიკოლაევი აიძულა “საკუთარი გრაფიკის” მიხედვით ემოქმედა, ხოლო სოლოვიოვს უფრო ხშირად პანიუკოვის დევნა უხდებოდა, ვიდრე პირიქით.

განსაკუთრებული ქების ღირსია “დინამოს” დაცვა – ელოშვილი, ძიაპშა, სარჯველაძე. ელოშვილმა თავგანწირული და მაღალტექნიკური თამაშით მატჩიდან სავსებით გამორთო ისეთი დავდამსხმელი, როგორიც დიომინია. დიომინსა და მარჯვენა გარემარბ კოვერზნევს, რომელიც საიმედოდ ჰყავდა “ჩაკეტილი” სარჯველაძეს, არც ადგილების შეცვლამ უშველა, რადგან მათი “მეთვალყურეები” მოედნის ყოველ სექტორში უშეცდომოდ თამაშობდნენ.

თავდასხმისა და თავდაცვის ხაზებს შორის კავშირის დამყარებაში თავი გამოიჩინა პანიუკოვმა. ამავე დროს, თვით თავდასხმელები ხშირად იხევდნენ უკან და სიღრმიდან იწყებდნენ სწრაფი გარღვევებისა და კომბინაციების განხორციელებას.

თავდასხმელთა ლიდერად ამჯერად ჯოჯუა მოგვევლინა, რომელმაც ძალზე ეფექტური ხელმძღვანელობა გაუწია ძლიერი ანსამბლის შეწყობილ თამაშს. თავისი მოულოდნელი გარღვევებით და ერთმეხებიანი გადაცემებით ჯოჯუა მრავალ სახიფათო მომენტს ქმნიდა

მონინააღმდეგის საჯარიმო მოედანზე – ამათგან, ერთი ზაზროშვილმა 23-ე ნუთზე, ხოლო მეორე გავნიძემ 44-ე ნუთზე გოლით დააგვირგვინა.

იმედია, რომ თბილისის “დინამო” ასეთი თამაშით (რაშიც მთავარი დამსახურება მიუძღვის გუნდის უფროს მწვრთნელს მ. იაკუშინს) გააგრძელებს ჩემპიონატს და დაამტკიცებს, რომ იგი დამსახურებულად იბრძვის პირველი ადგილისათვის.

დუბლიორთა მატჩი (ქ. რუსთავში) აღინიშნა ცდსა–ს გამარჯვებით – 5:1.

“ლელო”, 8 ივნისი 1951 წ.